საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030165710716419

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3785 **05 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ ყაველაშვილს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2019 წლის 26 თებერვლის 2025/4-15/19 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში თანდართული დანართების შესაბამისად.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დანართით წარმოდგენილი 2016 წელს საქართველოში განხორციელებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის (STEPS 2016) გარდა, 2018 წელს საქართველოში ჩატარდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი შინამეურნეობათა მრავალინდიკატორული კლასტერული (MICS) კვლევა. აღნიშნულ კვლევაში, ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, ჩართული იყო ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა, როგორც მოზრდილები, ასევე ბავშვები. კვლევის შედეგად შეგროვდა მაღალი ხარისხის და საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემები ოჯახების, ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესახებ ქვეყნის მასშტაბით. კვლევის პერიოდში, ასევე, შემოწმდა სასმელი წყლის ხარისხი და გამოკვლეულ იქნა 2-7 წლის ასაკის დაახლოებით 1500 ბავშვის სისხლი ტყვიის შემცველობაზე. სისხლის ნიმუშები გაიგზავნა იტალიაში, ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაში. კვლევის საბოლოო შედეგები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის გაზაფხულზე, რის შემდეგაც კვლევაში შერჩეული ოჯახები ინდივიდუალურად მიიღებენ ტყვიის ანალიზის პასუხებს და სისხლში ტყვიის შემცველობის მაღალი დონის დადგენის შემთხვევაში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მათ უფასო კონსულტაციას გაუწევს.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვალს, საქართველოს მთავრობის N32 დადგენილებით დამტკიცდა "საქართველოში ჯანმრთელობის ანგარიშის სისტემის (SHA) წარმოების წესი". SHA-ის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა მოხდეს დანახარჯების დაყოფა დაავადებათა კლასების და დაფინანსების წყაროების მიხედვით. 2018 წლის დანახარჯების შესახებ ინფორმაცია მომზადდება მიმდინარე წლის ბოლოს.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო